

# I სხდომა

## „ჰაჯი-მურათის“ დანერის ისტორია და ლევ ტოლსტოის ქართველი კორესპონდენტები

### CREATION OF “HADJI MURAT” AND LEO TOLSTOY’S GEORGIAN CORRESPONDENTS

მარიამ ფილინა

Mariam Filina

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** ლევ ტოლსტოი, „ჰაჯი-მურათი“, ქართველი  
კორესპონდენტები, ომის გმობა, ორი მენტალური  
სამყაროს წარმოჩენა

**Keywords:** Lev Tolstoy, “Hadji Murat”, Georgian correspondents,  
condemnation of the war, presentation of two mental worlds

დღეისათვის ომისა და ექსტრემალურ ვითარებაში მყოფი ადამიანის ფსიქოლოგიისადმი მიძღვნილი ყოველი კლასიკური ნაწარმოები განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს, მით უფრო თუ ეს ისეთ შედეგს ეხება, როგორც „ჰაჯი-მურატი“.

ლევ ტოლსტოის რომანი 1896-1904 წლებში შეიქმნა (გამოქვეყნდა 1912 წელს, მწერლის გარდაცვალების შემდეგ). იგი დიდხანს წერდა, ხან გადადებდა, მერე ისევ უბრუნდებოდა ტექსტს, რომელმაც მწერლის მთელი ცხოვრებისეული და ფილოსოფიური გამოცდილება მოიცვა. ტოლსტოიმ მთელი სიმძაფრით წარმოაჩინა რამდენიმე ერთმანეთთან შეურიგებელი, სასტიკი სამყაროს შეჯახება, დაპირისპირება და თანაარსებობა. ის მკაცრად განსჯის რუსეთის იმპერიის ომს, რომელშიც კავკასიის ხალხები იბრძოდნენ დამოუკიდებლობისთვის. ტოლსტოიმ ღრმად შეაღწია თავისი პერსონაჟების ფსიქოლოგიაში და მისი სიმპათიები ცალსახად ჰაჯი-მურატის მხარეზეა.

ტოლსტოის არასოდეს შეუწყვეტია შინაგანი კავშირი საქართველოსთან, რომელიც მისი, როგორც მწერლის, დაბადების ადგილად იქცა. მისი მიმოწერა ქართველ მეგობრებთან და ისეთ ადამიანებთანაც კი, რომელთაც პირადად არ იცნობდა, მეტყველებს ამ ქვეყნისადმი ჭეშმარიტ სიყვარულსა და ინტერესზე. საქართველოდან წასულმა, თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ ჩაიფიქრა კავკასიურ მასალაზე დაფუძნებული სიუჟეტი, რომელშიც საქართველოს წამყვანი ადგილი უკავია. მოთხრობას მსოფლიო პროზის ერთ-ერთ შედეგად გახდომა ეწერა. იგი განსაკუთრებით აქტუალურია 21-ე საუკუნეში, როდესაც ახალმა სასტიკმა ომებმა იფეთქა.

თავისი ნაწარმოების მომზადებასთან დაკავშირებით ფართოვდება და ახალ სიცოცხლეს იძენს ლევ ნიკოლაევიჩის კავშირები ქართველ მწერლებთან თუ მეცნიერებთან. ისტორიული მასალების ძიებისას ის მიმართავს თავის დიდ თაყვანისმცემელს, ქართველ საზოგადო მოღვაწესა და მწერალ ილია ნაკაშიძეს (1866-1923).

სამხედრო-ისტორიული დეპარტამენტის უფროსი, კავკასიის ომების ექსპერტი გენერალი ვ. ა. პოტო, რომელმაც ტოლსტოის მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიაწოდა, შემდგომ მუშაობას თავის კოლეგას, პოლკოვნიკ სიმონ ესაძეს (1868-1927), კავკასიის ცნობილ სამხედრო ისტორიკოსს, მიანდობს. ს. ს. ესაძემ ტოლსტოის გაუგზავნა მ. ტ. ლორის-მელიკოვის დეტალური ჩანაწერი „ჭაჭი-მურათის მოთხრობებიდან და ჩვენებიდან“. ჩანაწერი თითქმის მთლიანად შევიდა მოთხრობაში.

რუსი კლასიკოსის ყველა კორესპონდენტმა მას ფასდაუდებელი დახმარება გაუწია, ხოლო ილია ნაკაშიძესთან მიმონერა ჭაჭი-მურათის თემატიკას გასცდა და ოჯახებს შორის მეგობრობის ხასიათი შეიძინა. ლევ ნიკოლაევიჩი გამუდმებით მადლობას უხდის თავის კორესპონდენტებს და გასაოცარი მოკრძალებით ითხოვს ნებართვას, რომ, მაგალითად, ს. ესაძეს თავისი ნაწარმოებები საავტორო წარწერით გაუგზავნოს. ცნობილია, რომ ტოლსტოიმ თავის ქართველ მეგობარს აჩუქა წიგნები ავტოგრაფით.

რუსული კლასიკის შედევრში ქართული მასალები ბოლომდე შესწავლილი არ არის და მოითხოვს თანამედროვე დონეზე კვლევას.

## **ლიტერატურა:**

**ნაკაშიძე ნ.** (1956). ნაკაშიძე ნ. მოგონებები. თბილისი, საბლიტგამი.

**ტალიაშვილი გ.** (1951). ტალიაშვილი გ. ლევ ტოლსტოი და საქართველო. თბილისი.

**Филина М.** (2016). «Кавказ... несомненно страна любви... Лев Толстой». Тбилиси. «Русский клуб».

**Шадури В.** (1967). Летопись дружбы грузинского и русского народов. Тбилиси. «Литература да хеловнеба». Т.1.

Today, every classic work dedicated to war and human psychology in an extreme situation is of particular relevance, especially if it concerns such a masterpiece as Hadji Murat.

Tolstoy's story was created in 1896-1904 (published in 1912, after Tolstoy's death). He'd been weighty for a long time, postponing the, then returning to the text, which included the entire life and philosophical experience of the writer.

With great force, Tolstoy presented the collision, confrontation and coexistence of several worlds, irreconcilable and cruel. He strongly condemns the war of the Russian Empire, in which the peoples of the Caucasus fought for their independence. Tolstoy penetrated deeply into the psychology of his characters, and his sympathies are unambiguously on the side of Hadji Murat.

Lev Tolstoy never interrupted his internal connection with Georgia, the country of his writer's birth. His extensive correspondence with Georgian friends and even strangers testifying his true love and keen interest in this country. Almost half a century after his departure from Georgia, Tolstoy conceived a story based on Caucasian material, in which Georgia occupies a leading place. The story was destined to become one of the masterpieces of the world prose. It was "Hadji Murat" (1896-1904, published in 1912). It is especially relevant for the 21st century, when new cruel wars broke out.

In connection with the preparation of a new work, Lev Nikolayevich's ties with Georgian writers and scientists are expanding and revitalizing. In search of historical materials, he turns to his great admirer, the Georgian public figure and writer Ilya Nakashidze (1866-1923).

Head of the Military History Department, General V. Potto, an expert on Caucasian wars, having provided Tolstoy with important information, entrusts further work to his colleague Colonel Simon Esadze (1868-1927), a well-known military historian of the Caucasus. S. Esadze sent Tolstoy a detailed note with M. Loris-Melikov "From the stories and testimony of Hadji Murat", which almost completely were included into the narrative.

All correspondents of the Russian classic rendered him invaluable help, and the correspondence with Ilya Nakashidze went far beyond the subject of Hadji Murat and acquired the character of family friendship. Lev Tolstoy constantly expresses gratitude to his correspondents and with surprising modesty asks for permission to send, for example, S. Esadze his compositions with the author's signature. It is known that Tolstoy gave autographed books to his Georgian friend.

### **References:**

**Nakashidze N.** (1956). Memories. Tbilisi: Press of "Sablitgami".

**Taliashvili G.** (1951). Taliashvili G. Lev Tolstoy and Georgia. Tbilisi.

**Filina M. (2016).** "Caucasus... undoubtedly the land of love... Leo Tolstoy. Tbilisi. Press of "Russian club".

**Shaduri V.** (1967). Shaduri V. Chronicle of friendship between the Georgian and Russian peoples. Tbilisi. "Literature and Art". Part.1.